სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

თებერვალი 2020

2020 წლის თებერვალში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **115 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **184 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა თებერვალში **66 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა თებერვალში **301 ლარი** შეადგინა. მცხეთა-მთიანეთში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 779 ლარი შეადგინა, თბილისში - 444 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 339, ხოლო გურიაში - 331.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები
რეგიონების მიხედვით (2020 თებერვალი, ლარი)



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2020 წლის თებერვალში, 2020 წლის იანვართან შედარებით, 23.2%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი შემცირდა 19.7%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები შემცირდა 30.2%-ით.

2020 წლის თებერვალში, 2019 წლის თებერვალთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 14,6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 15,4%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 16.3%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2020 თებ/ 2020 იან	2020 თებ/ 2019 თებ	2020 თებ/ 2020 იან	2020 თებ/ 2019 თებ	2020 თებ/ 2020 იან	2020 თებ/ 2019 თებ
კახეთი	-0,7%	2,4%	1,5%	-5,5%	-1,5%	5,7%
იმერეთი	6,2%	-2,2%	18,8%	0,5%	2,1%	-4,3%
გურია		-25,5%		-0,7%		-51,6%
ქვემო ქართლი	30,7%	11,1%	22,5%	-10,0%	39,4%	20,9%
აჭარა	-34,4%	-28,8%	-33,8%	-34,2%	-35,6%	-17,4%
რაჭა	-21,5%	9,5%	-41,9%		-13,3%	9,5%
შიდა ქართლი	-14,8%	2,2%	12,5%	0,8%	-20,5%	5,2%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-15,8%	1,1%	-8,0%	-0,9%	-17,6%	2,1%
სამცხე-ჯავახეთი	-17,6%	-16,9%	-15,8%	-20,9%	-18,9%	-14,7%
მცხეთა-მთიანეთი	-2,2%	-7,3%	18,4%	-7,7%	-21,8%	-6,9%
თბილისი	-24,1%	-11,6%	-21,2%	-9,5%	-35,1%	-20,0%
სულ ფასების % ცვლილება	-23,2%	-14,6%	-19,7%	-15,4%	-30,2%	-16,3%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2020 წლის თებერვალში, 2020 წლის იანვრის ფასებთან შედარებით და 2019 წლის თებერვლის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა ფემთნვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეფასებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.